

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

1 დეკემბერი
შაბათი,
1962 წ.
№ 236 (2085)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

1 დეკემბერი აფრიკის დღეა. მას პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს ლოზუნგით „თავისუფლება მთელ კონტინენტს!“.

საბჭოთა ხალხები სოლიდარობას უცხადებენ თავისუფლებისმოყვარე აფრიკელებს.

ლიდერები არ თმობენ პოზიციებს

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორეს.). წყალბურთელთა საკავშირო ტურნირის ცხრილში იმდენად არათანაბარი მდგომარეობაა, პირველი ოთხეული იმდენად დაწინაურდა, რომ ერთპიროვნული ლიდერის — მოსკოვის „დინამოს“ მიერ 11 მატჩში დაგროვილი ქულები აღემატება ლენინგრადის „სპარტაკის“, ლვოვის „დინამოს“, ლენინგრადის „ბალტიკისა“ და მოსკოვის „შრომითი რეზერვების“ გუნდებს ერთად აღებულს. თუ კი 1-2 ადგილი ასე თუ ისე გარკვეულია (მასზე პრეტენზიას აცხადებენ მოსკოვისა და თბილისის დინამოელები), მესამე ადგილის პრეტენდენტი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული — მოსკოვის უნივერსიტეტსა და ვმფ-ს 13-13 ქულა აქვთ.

მორიგ ტურში მოულოდნელობას არ ჰქონია ადგილი. პირველმა სძლია მეორე ოთხეულს. თბილისის „დინამომ“ დაამარცხა ლვოვის თანაკლუბელები — 3:1. 2 ბურთი გაიტანა ი. ჩხიკვაძემ, ერთი — მიმინოშვილმა. მოსკოვის „დინამომ“ სძლია ლენინგრადის „სპარტაკს“ — 4:1. ერთნაირი ანგარიშით — 3:1 დამთავრდა მოსკოვის უნივერსიტეტი-„შრომითი რეზერვებისა“ და ვმფ-„ბალტიკას“ მატჩები.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 29 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	11	11	0	0	34:12	22
„დინამო“ თბ.	11	9	1	1	31: 7	19
ვ მ ფ	11	5	3	3	28:18	13
სახ. უნივერ.	11	5	3	3	21:16	13
„სპარტაკი“ ლ.	11	2	5	4	19:28	9
„დინამო“ ლვ.	11	2	2	7	18:29	6
„ბალტიკა“ ლ.	11	1	1	9	13:31	3
„შრ. რეზ.“ მ.	11	0	3	8	17:40	3

• • •

სურათზე: თბილისის „დინამოსა“ და ცსკა-ს გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

მ. ტალის პირველი დამარცხება

ერევანში გრძელდება საბჭოთა კავშირის XXX საჭადრაკო ჩემპიონატი. VI ტურში საერთო ინტერესი გამოიწვია ტალისა და ტურნირის უხუცესი მონაწილის, ლიტველი ოსტატის მიკენასის შეხვედრამ. მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა გადაჭარბებული სითამამით ჩაატარა პარტია და ტურნირში პირველი დამარცხება განიცადა. კორჩნოიმ შესანიშნავად გამოიყენა ხარკოველი სავონის პოზიციური შეცდომა და გაიმარჯვა.

ოთხი დამარცხების შემდეგ სომხეთის ჩემპიონმა მნაცაკანიანმა ეფექტურად მიაღწია ყაიმს შტეინთან პარტიაში. კრიტიკულ მომენტში ეტლის შეწირვით მან მუდმივი ქიში გამოაცხადა. ყაიმი ფიქსირებულ იქნა აგრეთვე კოც-ი. ზაიცევის, არონინ-კორჩლოვის, შიანოვსკი-ნოვოპაშინისა და კროგიუს-ხოლმოვის შეხვედრებში.

29 ნოემბერს ჩემპიონატზე მოეწყო გადადებული და გამოტოვებული პარტიების დამთავრება. მიკენასი თამაშს განუახლებლად დანებდა სპასკის, ხოლო შემდეგ ითამაშა კორჩლოვთან III ტურის გამოტოვებული პარტია. უხუცესმა მოჭადრაკემ ჩინებულად ჩაატარა იგი და გაიმარჯვა.

ორი პარტია დაამთავრა ხოლმოვმა. მან მოახდინა უპირატესობის რეალიზება ხოდოსთან და დაამარცხა იგი. პარტია ა. ზაიცევთან ყაიმით დასრულდა. პირველი გამარჯვება მოიპოვა ნოვოპაშინმა ა. ზაიცევთან შეხვედრაში. პარტია სუეტინთან ა. ზაიცევმა ყაიმით დაამთავრა.

შედგა V ტურიდან გამოტოვებული ბანიკ-ტაიმანოვის შეხვედრა. მცირე გართულებების შემდეგ პარტია ყაიმით დამთავრდა.

VI ტურის შემდეგ ლიდერობენ ვ. კორჩნოი (5 ქულა), მ. ტაიმანოვი (4 ქულა და ერთი გამოტოვებული პარტია), მ. ტალი და რ. ხოლმოვი (4 ქულა თვითეულს).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა, რომელიც წელს სრულიად ახალი სტრუქტურით ჩატარდა. როგორც ცნობილია, ამჯერად არ გათამაშებულა უძლიერესის წოდებანი ცალკეულ იარაღებზე. სპორტსმენები ასრულებდნენ მხოლოდ ნებისმიერ ვარჯიშებს. მრავალჭიდში 14 საუკეთესო შედეგის მქონე ტანმოვარჯიშე შემდეგ ქმნიდა ფინალურ ჯგუფს, სადაც კვლავ ნებისმიერი ვარჯიშების შესრულების შემდეგ უნდა გამორკვეულიყო აბსოლუტური ჩემპიონის წოდების მფლობელი.

ფინალში პირადი პირველობის გათამაშებამდე გაირკვა გუნდური შეჯიბრების შედეგები. უძლიერესი კოლექტივის წოდება მოიპოვა მოსკოვის სამხედრო ოლქის გუნდმა, რომელმაც მაღალი შედეგები მოიპოვა როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ დედაქალაქის გუნდები „ტრუდი“ და „ლოკომოტივი“.

დრამატულად წარიმართა ვაჟთა ფინალური ასპარეზობა. აქ, როგორც ცნობილია, წინასწარი ვარჯიშების შემდეგ ლიდერობდა ბ. შახლინი. ლიდერობა მას არ დაუთმია მთელი ფინალის მანძილზეც უკანასკნელ იარაღამდე. ეს იარაღი იყო ძელი, რომელზე გამოსვლის წინაც ბ. შახლინი 0,1 ქულით უსწრებდა უახლოეს კონკურენტს ვ. კერდემელიდის. ამ უკანასკნელმა მაღალ სპორტულ დონეზე შესრულებული დასკვნითი ვარჯიში, მიიღო 9,8 ქულა და გადაუსწრო ბ. შახლინს, რომლის ვარჯიშიც მსაჯების მიერ შეფასებულ იქნა 9,6 ქულით. ჩვენი ქვეყნის ახალ აბსოლუტურ ჩემპიონს — ვ. კერდემელიდის მრავალჭიდის ჯამში აღმოაჩნდა 113,85 ქულა, ბ. შახლინს — 113,75. მესამე ადგილზე გავიდა ვ. ლისიცკი — 113,55.

ქალთა შორის კვლავ გაიმარჯვა ლ. ლატინინამ, რომელმაც მრავალჭიდში დააგროვა 77,75 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან ს. მურატოვა — 77,2 და პ. ასტახოვა — 76,7.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა შაიბიან ჰოკეიში თავისი უკანასკნელი მატჩი გამართა ქალაქ ვინიპეგში, ადგილობრივ კლუბ „მერუნსთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით — 3:0.

ამრიგად, ჩვენი გუნდის სამკვირიანი ტურნე კანადაში დამთავრდა. როგორია შედეგები? 8 მოგება და ერთი „წაგორხილება“ ვინძორში, ადგილობრივ კლუბ „ვინძორ ბულდოგსთან“. 47 გატანილი და 27 მიღებული შაიბა 9 მატჩში. ასეთია ჩვენი სპორტსმენების გამოსვლების შესანიშნავი შედეგი ჰოკეის სამშობლოში.

კანადის ყველა გაზეთი მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ნაკრების ოსტატობას და თვლის მას გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად მსოფლიოს მომავალ პირველობაზე შვეციაში.

ᲢᲠᲐᲛᲞᲚᲘᲜᲘ ᲛᲖᲐᲓᲐᲐ ᲘᲜᲡᲑᲠᲣᲙᲨᲘ

ინსბრუკში დასასრულს უახლოვდება იმ ტრამპლინის მშენებლობა, რომელზედაც 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოეწყობა ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრება. აქ უკვე დამთავრდა ტრიბუნები 60 ათასი მაყურებლისათვის, ტრამპლინის მთლიანი პროფილი, მალე მწყობრში ჩადგება 24 კაბინა რადიორეპორტიორებისათვის. ტრამპლინის საპროექტო სიგრძე 81 მეტრია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ საუკეთესო სპორტსმენებს საშუალება ექნებათ გადახტნენ 90 მეტრამდე.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

როგორც ცნობილია, საბჭოთა ფეხბურთელთა რამდენიმე კოლექტივი იმყოფება საზღვარგარეთ ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად.

სირიის დედაქალაქში შედგა მატჩი ამ ქვეყნის არმიის ნაკრებ გუნდსა და მოსკოვის ცსკა-ს შორის. მოსკოველებმა გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 3:0.

იუგოსლავიის ქალაქ მორიბორში თამაშობდა დონეცკის „შახტიორი“. ჩვენი ქვეყნის თასის მფლობელი შეხვდა ადგილობრივ „მორიბორს“, რომელიც იუგოსლავიის ჩემპიონატის „ბ“ კლასში თამაშობს. მატჩი მიმდინარეობდა დათოვლილ მინდორზე და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0.

მოსკოვის „ტორპედო“ ქ. გლაზგოში შეხვდა შოტლანდიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — „გლაზგო რეინჯერსს“. ტორპედოელებმა შეძლეს დაემარცხებინათ მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1.

ᲪᲘᲕᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

დასავლეთგერმანელ ფეხბურთელთა გუნდი „ფფბ შტუტგარტი“ ამას წინათ მოგზაურობდა ინდოეთსა და ინდონეზიაში. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ვიზიტი ხელს შეუწყობდა ამ ქვეყნების სპორტსმენთა დამეგობრების საქმეს. მაგრამ, როგორც გამოირკვა, შტუტგარტელ ფეხბურთელებს სულ სხვა დავალება ჰქონდათ მიცემული, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სპორტსმენთა დამეგობრებასთან.

შტუტგარტის კლუბის თავმჯდომარე ფ. ვალტერი, რომელიც სტატიით გამოვიდა ადგილობრივ პრესაში, წერდა, რომ ფეხბურთელებს დავალებული ჰქონდათ ინდოეთის, ინდონეზიისა და გდრ-ს სპორტსმენთა შორის წლობით დამყარებული კავშირისათვის ხელისშეშლა, მისი შებღალვა. დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებს ინსტრუქტაჟს უწევდა ბონის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ასე, რომ ფეხბურთელთა გამგზავრება მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ამიტომ იყო, რომ გფრ-ს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფეხბურთელებს მისცა დიდი თანხა — 68 ათასი მარკა.

ტურისტები

წიწამურში

„განთიადის“ პირველი რესპუბლიკური ტურისტული შეკრება, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 125 წლისთავს, გაიმართა წიწამურის მიდამოებში, მდინარე არაგვის პირას. ეს ღონისძიება ორდღიანი იყო. შაბათს, 24 ნოემბერს მოეწყო შეჯიბრების ტრასის შერჩევა, მონაწილეთა ადგილზე მიყვანა.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის, სპორტულ კლუბ „გამარჯვების“, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, სპორტულ კლუბ „ისნის“, გორის ბამბეულის კომბინატისა და სხვა ტურისტულმა გუნდებმა, სულ 16 გუნდის 96 სპორტსმენმა. შეჯიბრება ითვალისწინებდა ტურისტულ ესტაფეტას, კარვების გაშლას, კოცონის დანთებასა და წყლის ადუღებას. ტურისტულ ესტაფეტაში პირველი ადგილი დაიკავა სპორტულ კლუბ „გამარჯვების“ გუნდმა, კარვების გაშლაში ყველას აჯობა გორის ბამბეულის კომბინატმა, ხოლო კოცონის დანთებასა და წყლის ადუღებაში თავი გამოიჩინა თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის კოლექტივმა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია გორის ბამბეულის კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელსაც უნარიანი ახალგაზრდა სპეციალისტი ნ. დვალი ხელმძღვანელობს. მას კარგად აქვს დაყენებული საქმე არა მარტო ტურიზმში, არამედ სპორტის სხვა სახეობებშიც. საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის ფიზკულტურულმა კოლექტივმა.

სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიიღეს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის (უფროსი ინსტრუქტორი ბ. კოვალიოვი), სპორტულ კლუბ „ფეიქრის“ (უფროსი ინსტრუქტორი გ. დვალი), ქარხანა „ელექტროავტომატის“ (ინსტრუქტორი ო. გერაძე), სამკერვალო ფაბრიკა № 6 (ინსტრუქტორი დ. ჩოგოვაძე), ავეჯის კომბინატის (ინსტრუქტორი მ. არკადიევი), ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკის (ინსტრუქტორი ო. მიქელაძე), ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკის (ინსტრუქტორი ჯ. მორგოშია) და სხვა საწარმოების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

შეჯიბრებაზე ადგილი ჰქონდა სპორტსმენებისათვის შეუფერებელ, უდისციპლინო საქციელს. ფიზკულტურული კოლექტივის „ისნის“ გუნდმა შეჯიბრება თვითნებურად დატოვა. ჯ. კალაძემ ცუდი მაგალითი მისცა თავისი კოლექტივის სპორტსმენებს. ამ უმსგავსო საქციელში მას მხარი დაუჭირა „ისნის“ ტურისტული სექციის ბიუროს წევრმა ზ. მიქაძემ. „ისნის“ ალპინიზმისა და ტურიზმის სექციის ბიუროს თავმჯდომარემ ე. ჟვანიამ არაერთგზის მიმართა ჯ. კალაძეს შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კომკავშირელ ჯ. კალაძის საქციელი კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

უდისციპლინობაში ჯ. კალაძეს მხარი აუბა „განთიადის“ ჭიათურის ტურისტული გუნდის წარმომადგენელმა გ. სამხარაძემ. შეატყო რა, რომ გუნდი სახარბიელო ადგილს ვერ იკავებდა, შეჯიბრება არ დაასრულა. საბედნიეროდ, ეს ერთეული შემთხვევები იყო და ამან ვერ დაჩრდილა კარგი შთაბეჭდილება, რომელიც შეკრების მონაწილეებს და მაყურებლებს დარჩათ ამ სასარგებლო ღონისძიებიდან.

ა. ცეხანელი

ისევ სპორტული ტერმინოლოგიის შესახებ

✦

გ. მერკვილაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

✦

ტერმინის სიტყვა-სიტყვით თარგმნას დიდი კურიოზები სდევს თან და საჭიროა მისი აზრობრივი და ლოგიკური თარგმნა შესატყვისი ტერმინის მოძებნით ან შექმნით. ამისათვის მთარგმნელი უნდა ფლობდეს ენის გარდა სათარგმნელი მასალის ყოველ განაკვეთს. ბევრი მოქმედი ტერმინი სიტყვა-სიტყვით თარგმანს წარმოადგენს ერთი რომელიმე ენიდან (უმეტესად რუსულიდან) იმ დროს, როდესაც თვით ამ ენაზე ტერმინი არ გამოხატავს აზრობრივად საჭირო ცნებას. მაგალითად, ავიღოთ ჩოგბურთში резанный мяч. რომ უთხრათ კაცს, რომელსაც ასეთი ბურთის გაკვრა არ უნახავს, ვერ აგიხსნით აზრობრივად ამ ტერმინის ცნებას, იმ დროს, როდესაც „ბზრიალა ბურთი“ ყველასათვის გასაგებიცაა და უფრო ქართულია, ვიდრე „მოჭრილი ბურთი“. ჩვენი ყური შეჩვეულია გამოთქმებს: მოჭრილი ტოტი, მოჭრილი სიტყვა, აქედან „მოჭრილი ბურთი“ მის მიერ, უკეთეს შემთხვევაში, გაგებული იქნება, როგორც ბურთის ისეთი მიწოდება, როდესაც ბურთი ფრენის დროს შეჩერდება და შვეულად ჩამოვარდება. ტერმინი მოხერხებულია მისი ქართულად წარმოებისათვისაც: უკუბზრიალა. წინბზრიალა, ირიბბზრიალა, — აზუსტებს ისეთ ცნებებსაც, რომელსაც რუსულ ენაზე საკუთარი ტერმინი არც კი მოეპოვება.

უცხოური, საერთაშორისო ტერმინების შემოღებისა და დატოვების საკითხი ჩვენს ტერმინოლოგიაში პრინციპული არ უნდა იყოს. მაგალითისათვის ავიღოთ ყველასათვის ცნობილი რუსული ტერმინი **расслабление**, რომლის შესატყვისი ტერმინის საჭიროებას განიცდიდნენ წინათ, მხოლოდ დელსარტის სისტემას მხატვრული ტანვარჯიშის მწვრთნელები, დღეს სპორტის ყველა სახისათვის (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ძალოსნობა და სხვა) აუცილებელია მეტად საჭირო მეთოდური ხერხის, ცნების გამოსახატავად.

ჩვენს ენაში ტერმინი რუსული სახელმძღვანელოებიდან შემოვიდა და იგი, სამწუხაროდ, მხოლოდ ითარგმნა; ამის გამო მას ქართულად მოდუნება დაერქვა. სიტყვა ქართულია, თარგმანიც ზუსტი, მაგრამ არსებითად არასწორი; საქმე იმაშია, რომ თვით **расслабление** რუსულად არ მოიცავს ყველა ტიპის მოდუნებას, ქართულად კი არსებობს მრავალი ტერმინი (მოდუნება, მოშვება, მოსხლეტა) იმ ცნებების გამოსახატავად, რასაც რუსულად მხოლოდ ერთი ტერმინით გამოხატავენ.

ჩვენ რომ ტერმინი გერმანულიდან ან ინგლისურიდან გვეთარგმნა, შევატყობდით, რომ მათ ცნების გამოსახატავად აქვთ რამდენიმე ტერმინი იმის მიხედვით, თუ რა სახის მოდუნებასთან გვაქვს საქმე და შევამჩნევდით, რომ ტერმინის ფუძე „დუნე“ კი არ არის, არამედ „შვება“ — განთავისუფლებაა. აქ შეიძლება დაგვჭირდეს ზოგჯერ „მოსხლეტილი“-ც ვიხმაროთ (მაგალითად, ბადროს ტყორცნისას მკლავი „მოდუნებული“ კი არ არის, არამედ მოსხლეტილი), ამ ტერმინში არის მოდუნების — სტატიკის ფაზაც და წამიერი დიდი დაჭიმვის, დინამიკის ფაზაც.

მთარგმნელი დიდი პატიოსნებით უნდა მოეპყრას ტერმინის ზუსტად გაგებასა და ქართულ ენაზე შესატყვისი ტერმინის შექმნას. უადგილო არ იქნება მთარგმნელის პატიოსნების ერთი მაგალითის გახსენება: რუსულად თარგმნილია კ. პაულჰოფერის და მ. შტრეიხერის წიგნი „ავსტრიული სასკოლო ტანვარჯიში“, სადაც მთარგმნელი იძულებულია გერმანული სიტყვა „შნელლკრაფტ“ თარგმნოს სიტყვით **быстрота** — სისწრაფე. ამავე დროს მთარგმნელი სჩივის, რომ რუსულად ვერ იპოვა გერმანულის შესაფერისი სიტყვა, რომელიც გამოხატავდა რბენის სტარტისათვის დამახასიათებელ გერმანულ ტერმინს, რომელიც გამოხატავდეს ერთდროულად: 1. რეაქციის სისწრაფეს, 2. ბიძგის სიმძლავრეს, 3. მოქმედების სიმკვირცხლეს. მთარგმნელი გვიზიარებს, რომ იგი ეძიებდა ისეთ სიტყვას, რომელიც გამოხატავდა მშვილდის ლამბის (ლარის) მოსხლეტას და არა ისრის ფრენის სისწრაფეს. ჩვენს ენაში რბენის სტარტის ანუ საწყისის ყველა ზემოჩამოთვლილ მოთხოვნას ფარავს ტერმინი — მოსხლეტა. ქართულ ტერმინოლოგიაში მთარგმნელი ადვილად იპოვნიდა ამის შესატყვის სიტყვას. მოსხლეტით, სხლეტით, ფიცხლად. (გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნიდან“—„წავიდა ვითა ასარი, კაცისა მშვილდ-ფიცხელისა“).

ჩვენს სპორტულ ტერმინოლოგიაში გაგვეპარა და დამკვიდრდა ზოგი ისეთი ტერმინი, რომელიც ქართულ ენას არ ეგუება როგორც მაგალითად: საწყლოსნო სადგური, მოთელვა, ჩხვლეტა და მრავალი სხვა, რომელიც ან პირდაპირ არის თარგმნილი აზრის გაუთვალისწინებლად, ან სწორად არ არის წარმოებული ენის კანონების მიხედვით. სიტყვა წყლოსანი, საწყლოსნო არ ეგუება არც ენის კანონებსა და არც ფონეტიკას. „ოსანი“ ადამიანის ან ცხოველის დამახასიათებელია ისეთ შემთხვევაში, როდესაც რაიმე საგანს ფლობს კაცი, მაგრამ ეს ყველა შემთხვევაში კი არ შეიძლება ვიხმაროთ, მაგალითად, არ შეიძლება კაცი იყოს ჭკუოსანი ან აზროსანი და არც მრავალჭიდოსანი. ქართულით მათ უწოდებენ ჭკუიანს, აზრიანს, ძალოვანს, მძლეს (როგორც ხმარობს რუსთაველი), მრავალჭიდელს და ა. შ. რაიმე საგნის ან სპორტული ინვენტარის მქონეს კი შეიძლება ვუწოდოთ ნიჩბოსანი, ნაოსანი, ცხენოსანი, ქუდოსანი და ა. შ. წყალი ან ჭიდი—ინვენტარი, იარაღი ან ისეთი საგანი არ არის, რასაც კაცი ატარებს, რომ აქედან ვაწარმოოთ ტერმინი წყლოსანი ან ჭიდოსანი, ისევე როგორც მორბენალს მინდორსანი არ შეიძლება ვუწოდოთ. რომ ამ „ოსანის“ უსისტემოდ ხმარება არ შეიძლება, ჩანს თუნდაც სიტყვების ხელოსანისა და ხელოვანის შედარებიდან; ორივე „ხელიდან“ არის წარმოებული, მაგრამ ორივე ტერმინი ძველთაგანვე დამკვიდრებულია და ოსტატობის სხვადასხვა ხასიათსა და საფეხურს გამოხატავენ. ჩვენი აზრით, უნდა დარჩეს ხმარებაში მეტად შნოიანი ტერმინი წყალჯომარდული სადგური და მოსათათბირებელია — მრავალჭიდა. ძველთაგანვე შემორჩენილია არასწორად წარმოებული მძლეოსანი და ძალოსანი, რომლებიც უკვე დამკვიდრდა და ამის გამო უნდა დარჩეს, ახალ დარღვევებს კი უნდა ვერიდოთ. ავიღოთ ახლა მეორე ხასიათის დარღვევის შედეგად შემორჩენილი ტერმინები „მოთელვა“ ან „ჩხვლეტა“ (ფარიკაობაში, იხ. „ლელო“ № 30, 1962 წ.), რომელიც ენის ნორმების მხრივ კი არ სცოდავს, არამედ აზრობრივად, შინაარსით წარმოადგენს რუსულიდან, ილიასებურად რომ ვთქვათ, კაჭკაჭურ თარგმანს.

ამის გამო მე კიდევ ერთხელ ვსვამ საკითხს ტერმინის „მოთელვის“ ამ მნიშვნელობით ხმარებიდან ამოღების შესახებ, რადგან ჩვენ შეგვიძლია ვიხმაროთ „წვართვა“, „გასათბობი“ ან „სათბური ვარჯიში“, „გავარჯიშება“ და სხვ.

ასეთსავე უმწეო მდგომარეობაშია ჩავარდნილი მოფარიკავეთა მიერ რუსულიდან პირდაპირ თარგმნილი, გმერის გამომხატველი ტერმინი — ჩხვლეტა. რუსულად **колоть** ჩხვლეტასაც ნიშნავს, გმერასაც, კვეთასაც და შეშის ჩეხვასაც; რატომ არ მოუვიდა თავში რომელიმე მთარგმნელს ეთარგმნა **колоть дрова** შეშის ჩხვლეტად, ან რატომ **коли** თარგმნა ჩხვლეტად, როდესაც ჩვენში ოდიდანვე არსებობს ისეთი მშვენიერი სიტყვები ამ ცნების გამოსახატავად, როგორიცაა „ჰკა“! ე. ი. ჰკარ! გაიხსენეთ აკაკის — „თორნიკე ერისთავიდან“ „ჰკა მაგას! ხმა ყოველ მხრიდან“, ან შოთას „მტერსა ჰკრავს ხრმალსა“ (1377,4); „კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც“ (614,4), ან ისევ „ვეფხისტყაოსნიდან“ — გმერა, გმირვა (143,2; 904,2) და სხვა ასეთი კარგი ქართული სიტყვები. ვინ გაიგონა შუბით ან ხმლით ჩხვლეტა, ხიშტი ან ხმალი ნემსი ხომ არ არის, რომ მოწინააღმდეგეს უჩხვლიტო. აქაც საჭიროა გავთავისუფლდეთ რომელიმე ენის გავლენიდან და საკუთარ სიტყვიერ ფონდს მივმართოთ.

ტერმინოლოგიის დადგენისათვის მრავალი სხვა საკითხია კიდევ მოსათათბირებელი (შემოკლებანი, მრავალსართულიანობა და სხვ.). საჭიროა ტერმინოლოგიური კომისიის აღდგენა, სადაც შეიძლება მრავალი სადაო ტერმინის ხელახლად გადასინჯვა და უფრო წიგნიერი, ენის შესაფერისი ტერმინების დადგენა სპორტში.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთი „ლელო“ № 234, 235.

„კოლმეურნის“ პირველობაზე

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ 31 გუნდი მონაწილეობდა ცენტრალური საბჭოს პირველობაზე ფეხბურთში. მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ზონებად.

ქვეჯგუფებში გამარჯვებულმა გუნდებმა შექმნეს ფინალური ჯგუფი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ქობულეთის „შუქურა“, ზუგდიდის „ოდიში“, ლანჩხუთის „გურია“ და მახარაძის „მერცხალი“.

დასკვნითი გათამაშება ფინალისტებს შორის დაიწყება 1 დეკემბერს მახარაძეში. გამარჯვებულ გუნდს მიეკუთვნება გარდამავალი ბროლის თასი.

გ. ხოშტარია



სვანეთის მწვერვალებზე

მიმდინარე წლის ზაფხულის სეზონში საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირს დაგეგმილი ჰქონდა ორი საკვალიფიკაციო ალპინისტური ღონისძიება კავკასიონისა და პამირის მთიანეთში.

კავკასიონის ექსპედიციას მუშაობა გაიშალა ცენტრალურ კავკასიონზე შხელდა-უშბის რაიონში (ზემო სვანეთი). სულ ექსპედიციაში მონაწილეობდა 29 მთამსვლელი. ექსპედიციაში შექმნილ იქნა მწვრთნელთა საბჭო—ოთარ ხაზარაძე—უფროსი მწვრთნელი, მწვრთნელები: გ. აბაშიძე და რ. ხაზარაძე.

21 ივნისს ჩავედით უშხვანარში. საბაზო ბანაკი გავშალეთ მაკრინე ქურდიანის ბინაზე, მდინარე დოლრის ნაპირზე. 26 ივლისს ექსპედიციის ერთი ჯგუფი 13 მთამსვლელის შემადგენლობით, რომელსაც ი. ყავლაშვილი ხელმძღვანელობდა, დაიძრა დოლრის ხეობის გავლით ნაკრის რაიონის მწვერვალებისაკენ. ეს იყო პირველი გასვლა. დღის ბოლოს. 2200 მეტრ სიმაღლეზე, ჯგუფმა გაშალა ძირითადი ბანაკი დოლრის მყინვარის ენასთან. მეორე დღეს 11 მთამსვლელმა ყინულვარდნილების გავლით მიაღწია ორჯონიკიძის უღელტეხილს, საიდანაც ნავარაუდევი იყო ასვლება მესამე კატეგორიის სირთულის მწვერვალებზე. ილო ყავლაშვილი და ლევან ღლონტი დარჩნენ ბანაკში და მეთვალყურეთა მოვალეობას ასრულებდნენ. დილით, 28 ივლისს იერიში დაიწყო. ჯგუფს ლაკრაზე შეყრილაძე ხელმძღვანელობდა, ლეირაგზე კი — მესტვირიშვილი. ჯგუფებმა იმავე დღეს მიაღწიეს მწვერვალებს და საღამოს კვლავ უღელტეხილზე დაეშვნენ. შემდეგი დღე არ იყო კარგი. ჯგუფებმა ობიექტები გაცვალეს და ქარბუქის მიუხედავად, მაინც დაიპყრეს მწვერვალები. ორდღიანი დასვენების შემდეგ ჯგუფებმა განაახლეს მუშაობა. ჯერ დალაშქრულ იქნა მწვერვალი ცალგმილი (3995 მეტრი ზღვის დონიდან): აღმოსავლეთის კლდოვანი კონტფორსით, მეოთხე კატეგორიის სირთულის გზით. შემდეგ კი იერიში მიიტანეს მწვერვალის ჩრდილოეთ კედელზე. ამ მწვერვალის მასივი ჩრდილოეთისაკენ გიგანტური ყინულისა და კლდის შვეული კედლებით ეშვება ყინვარზე. საშუალო დაქანება 70-80 გრადუსს აღწევს, დონეთა სხვაობა კი კილომეტრს აღემატება. ტექნიკური სირთულისა და არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო მოიერიშე ჯგუფი განისაზღვრა ოთხი კაცით. მასში შევიდნენ ი. ყავლაშვილი — ხელმძღვანელი, ნ. ნადირაშვილი, ლ. ღლონტი და ვ. ბურდული, რომელიც პირველად იღებდა მონაწილეობას ასეთი სირთულის მწვერვალის იერიშში. 31 ივლისს ჯგუფი გადის მწვერვალ ლაკრასა და მწვერვალ ცალგმილას შორის მდებარე უნაგირაზე და იწყებს ასვლას კედელზე.

ამავე დროს მეორე ჯგუფი, რომელშიაც შევიდნენ ჯ. შეყრილაძე, შ. მესტვირიშვილი, გ. ოგანეზოვი, გ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ე. ქვანია, ი. ხარსელი, გ. ცინცაძე, ახორციელებდა მწვერვალის ჩრდილო-აღმოსავლეთი კონტფორსის იერიშს. დღის მეორე ნახევარში 7 საათი დაძაბული ცოცვის შემდეგ მთამსვლელები აღწევენ პირველი გუშაგის თავს, გაიარეს რა სულ ვერტიკალურად 70-80 მეტრი. შემდეგ გზა კლდოვანი თხემით ყინულის კედლამდის შედარებით იოლი აღმოჩნდა. გადალახეს რა კიდევ 7 კლდოვანი გუშაგი, ალპინისტებმა უკვე სრულ სიბნელეში მიაღწიეს პატარა მოედანს, რომელზედაც კარავი გაშალეს. ამასობაში მეორე ჯგუფმა სწრაფი ტემპით გადალახა კლდოვანი ქარაფები და 7 საათზე მწვერვალს მიაღწია.

პირველი ასვლა ჩვენმა გოგონებმა მოახდინეს მწ. მაზერზე სამხრეთიდან. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა გიორგი მახვილაძე, რომელიც დიდი „შესვენების" შემდეგ კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ინა ინაშვილი, მანანა თუმანიშვილი, გიორგი ოგანეზოვი და სევა ელიავა — აი მისი მეგობრები.

ასვლა დაიწყო 6 აგვისტოს. მთამსვლელები მსუბუქად იყვნენ ჩაცმულნი, ისინი ვარაუდობდნენ დღის ოთხი საათისთვის მიეღწიათ მწვერვალისათვის, ხოლო საღამოს დაშვებულიყვნენ კულუარის ძირში, სადაც კარავი დატოვეს. დასაწყისში ყველაფერი რიგზე იყო. ტემპი საკმარისად მაღალი. მათ მოძრაობას უშუალოდ საბაზო ბანაკიდან ვუთვალთვალებდით ჭოგრით. მთამსვლელები სწრაფად იღებდნენ სიმაღლეს. პირველ დაბრკოლებას ვერძის შუბლთან წააწყდნენ... შემდეგ კულუარში მოძრაობა უხიფათო როდი იყო. ქვების განუწყვეტელმა რახარუხმა ჯგუფი აიძულა გზისთვის გადაეხვია და ადრე გასულიყო აღმოსავლეთ მწვერვალის კლდოვან ქედზე. ეს გზა გაცილებით რთული იყო, მაგრამ უშიშარი. როცა მწვერვალზე გავიდნენ, უკვე ბინდი იყო. ღამე კლდის ქამზე ჩამომჯდარებმა გაათენეს ერთმანეთზე მიკრულებმა.

ამ ასვლას მოჰყვა შემდეგი ასვლები. ყველას ვინ მოთვლის. საბაზო ბანაკში ჯგუფები დაბრუნდნენ 9 და 10 აგვისტოს. ასვლების ობიექტები რთულდებოდა. 13-14-15 აგვისტოს, სამდღიანი დასვენების შემდეგ, განახლდა ასვლები. ჩვენთვის კარგა ხანია დიდ ინტერესს წარმოადგენდა მწვერვალი შტავლერი ნენსკრის ხეობიდან, რომელიც პირველად 1958 წელს გაიარეს ჩვენმა უკრაინელმა მეგობრებმა ალპინისტურ ბანაკ „ნაკრიდან". ეს მარშრუტი კლასიფიცირებულ იქნა საქართველოს ალპური კლუბის მიერ და შეფასებულია უმაღლესი, მეხუთე კატეგორიის სირთულით. ჯგუფში შევიდნენ: ნოდარ ნადირაშვილი—ხელმძღვანელი, ავთანდილ ძიძიგური, გურამ კალანდაძე, ილო ყავლაშვილი, ლუიზა ნარიმანაშვილი და გურამ ცინცაძე.

ლუიზა ნარიმანაშვილი მესამე ქართველი ქალია ალექსანდრა ჯაფარიძის და მარინე უთმელიძის შემდეგ, რომელიც უმაღლესი კატეგორიის სირთულის მწვერვალს იპყრობს. 17 აგვისტოს პატარა ქარავანი აღწევს მცირე შტავლერის უღელტეხილს და ეშვება ნაშალით ნენსკრის ხეობაში. ძნელი აღმოჩნდა იმის დადგენა, თუ რომელი ქედით გაიარეს პირველამსვლელებმა. ჩვენები არჩევენ ყველაზე რთულს. კლდოვანი კონტფორსი დიდი დაქანებით მიდის ცაში. ზედა ნაწილში კლდეები თითქმის ვერტიკალურია. სწრაფად მიდიოდა დრო. ალპინისტები მიიწევდნენ ზევით უსასრულოდ ნელა. 14 საათის განმავლობაში გაიარეს რა ვერტიკალურად 700 მეტრამდე, ალპინისტებმა ღამე გაათენეს კედლის ძირში. მეორე დილით დაიწყო გადამწყვეტი იერიში. უკანასკნელი 12 მეტრის აღებას დაჭირდა სამი საათი. როცა კედელი გაიარეს და მთამსვლელებმა მწვერვალისაკენ მიმავალ თოვლიან ქედზე დადგეს ფეხი, ნენსკრის ხეობა უკვე დაფარა საღამოს ბინდმა...

მეორე ჯგუფი ამ დროს უშბის ტრავერსზე იყო გასული — ლ. ღლონტი, გ. მახვილაძე, შ. მესტვირიშვილი და ჯ. შეყრილაძე. 12 აგვისტოს ქართველი მთამსვლელებისათვის კარგად ცნობილი გზით, იწყებენ იერიშს. უაღრესად ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში, თოვლსა და ქარბუქში უხდებოდათ მთამსვლელებს მოძრაობა. 19 აგვისტოს ჯგუფთან დაკარგული იქნა კავშირი. შეიქმნა საკონტროლო ვადის გადაცილების რეალური საფრთხე. დაუყოვნებლივ იქნა მიღებული ზომები. 20 აგვასტოს შხელდის ყინვარზე გაიგზავნა მეთვალყურეთა დამატებითი ჯგუფი. 21 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში მოტრავერსე ჯგუფი შენიშნული იყო ჩრდილოეთის მწვერვალის თხემზე. საღამოს, 13 დღის იერიშის შემდეგ, ჯგუფი მშვიდობიანად დაეშვა უშბის უღელტეხილზე.

ექსპედიციის მუშაობა ფირზე გადაიღო ახალგაზრდა კინოოპერატორმა და ცნობილმა მთამსვლელმა ნოდარ ნადირაშვილმა. ექსპედიციას დიდი სამსახური გაუწია ექიმმა ანზორ დადვანმა და მესტიის სამაშველო საკონტროლო პუნქტის უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბექნუ ხერგიანმა.

ექსპედიციის მთელი შემადგენლობა დიდ მადლობას უხდის მესტიის და სოფ. ბეჩოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს გაწეული დახმარებასათვის და განსაკუთრებით დეიდა მაკრინეს, მისი გულღია სტუმართმოყვარეობით ჩვენ ვსარგებლობდით 40 დღის განმავლობაში.

შ. მირიანაშვილი,
ექსპედიციის უფროსი.

• • •

ეს სურათები გადაღებულია ლ. ღლონტის მიერ. მათზე აღბეჭდილია სვანეთის მწვერვალების დაპყრობის მომენტები.

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	
ა.კუშნირი	1		0	½	1	1	0														1	
ე.კაკაბაძე	2	1		½	½	0														0	0	
ვ.ბორისენკო	3	½	½		½														½	0	½	
ვ.როძლაკა	4	0	½	½														0	½	½		
ო.ანდრეევა	5	0	1														0	1	½	0		
ლ.იაკირი	6	1														1	½	1		½		
გ.არჩაკოვა	7														0	0	½	½	1	1		
ა.ჩაიკოვსკაია	8													1	0	1	½	0	½			
ე.შიშარდი	9												1	0	0	½	½	1				
კ.მალინოვა	10											½	0	½	0	0	0					
რ.კაზმინა	11										½		0		0	½					½	
ა.მუსლიმოვა	12									0	1	1		0	0						0	
ს.როოტარე	13								0	1	½		1								0	
ლ.ვოლპერტი	14							1	1	1	1	1	1									
ნ.მატვეევა	15						0	1	0	½	1	½										
კ.ზვორიკინა	16					1	½	½	½	½	1											
ლ.ბელავენეცი	17				1	0	0	½	1	0												
ტ.ფილანოვსკაია	18			½	½	½		0	½													
ზ.ნახიმოვსკაია	19		1	1	½	1	½	0														
ტ.ზატულოვსკაია	20	0	1	½								½	1	1								

დღითი-დღე ბრძოლა ქალთა XXII საჭადრაკო ჩემპიონატში სულ უფრო მიმზიდველი ხდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვოლპერტის შესანიშნავი თამაში, რომელიც პარტიას პარტიაზე იგებს. ამის ფონზე გაკვირვებას იწვევს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ბორისენკოს მკრთალი შედეგები. მას ჯერ ერთი პარტიაც ვერ მოუგია.

ლიდერს კვალდაკვალ მიჰყვებიან ზატულოვსკაია და ნახიმოვსკაია. თუ ნახიმოვსკაიას წინსვლა სასიამოვნო მოულოდნელობაა, ზატულოვსკაიასაგან ეს არავის უკვირს. ის სამართლიანად ითვლება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს ოსტატად. ფაქტიურად მეორე ადგილზე იმყოფება კიეველი იაკირი, რომელსაც არც ერთი პარტია არ წაუგია და 4 ქულა აქვს (ერთი პარტიაც გადადებული).

საქართველოს ორი წარმომადგენელი—ჩაიკოვსკაია და კაკაბაძე არ არიან ლიდერებში, თუმცა ჩაიკოვსკაია ახლოა მათთან. მას 3 ქულა აქვს, მაგრამ კაკაბაძე საგრძნობლად ჩამორჩება მათ.

აქ მოგვყავს ჩემპიონატის ცხრილი, შევსებული განვლილი ექვსი ტურის შედეგებით. ცხრილი სრულ წარმოდგენას იძლევა ჩემპიონობისათვის გამართულ ბრძოლაზე.

კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს

სასწავლებლის ყველა სართულის თითქმის ყოველ კუთხეშია რომელიღაც მწერლის, პოეტის ან გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ქვაში თუ ხეში გამოკვეთილი სახე, თაბაშირითა თუ თიხით შესრულებული ბიუსტი. ყველა ესენი ამ სასწავლებლის — თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 პროფტექსასწავლებლის აღსაზრდელთა ნამუშევრებია. აქ ახალგაზრდები ეუფლებიან მძერწავის რთულ პროფესიას, მაგრამ არ ივიწყებენ მათთვის საყვარელ სპორტის ამა თუ იმ სახეობასაც — თავისუფალ დროს სპორტში დაოსტატებას ახმარენ, ენერგიას იძენენ და საჭიროების შემთხვევაში მზად არიან წარმატებით დაიცვან მშობლიური სასწავლებლის ღირსება.

კარგი გუნდები ჰყავთ ფეხბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და სხვა სახეობებში, რომლებიც წარმატებებს აღწევენ არამარტო რაიონულ, არამედ „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ შეჯიბრებებზეც.

სასწავლებლის სექციების ნაყოფიერმა მუშაობამ, შიდასაკოლექტივო ღონისძიებებმა კოლექტივს საშუალება მისცა შეესრულებინა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები. ახლა აქ მრავალი თანრიგოსანი სპორტსმენი ჰყავთ, რომლებიც საზოგადოებრივი დატვირთვით კარგად ეხმარებიან ფიზკულტურის მასწავლებელს ტ. გირგიტოვს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებაში.

ამ სასწავლებელმა „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ ნაკრებს, რომელიც საზოგადოების საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობდა, 2 სპორტსმენი მისცა, მათგან ბაჩიაშვილმა პირველი ადგილი მოიპოვა უროს ტყორცნაში, ხოლო სუხარევი მეექვსე ადგილზე გამოვიდა 100 მეტრზე რბენაში.

ფიზკულტურული საბჭოს ნაყოფიერ მუშაობას ხელს უწყობს სპორტის სათანადო პროპაგანდაც. რეგულარულად გამოდის სპორტული კედლის გაზეთი, მოწყობილია ფოტოსტენდი. აქვთ ყველა სახის ინვენტარი. მხოლოდ ისაა, რომ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს დარბაზი, რომელიც მცირე ზომისაა.

ხ. ხარაზიშვილი

პერსპექტივაშია ტოკიო და ლონდონი

სექტემბრის დასასრულს ქ. ვოლგოგრადში გაიხსნა ახალი სტადიონი, რომლის ზეიმის აღსანიშნავად გაიმართა მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის ორ ნაკრებ გუნდს შორის. პირველ ნაკრებში თამაშობდნენ გამოჩენილი ოსტატები, ჩილის ჩემპიონატის მონაწილენი, ხოლო მეორე ნაკრები შედგებოდა ახალგაზრდა, პერსპექტული მოთამაშეებისაგან, რომელთა სახელები სულ ახლახან გახდა ცნობილი გულშემატკივართათვის. მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა „ჩილელთა“ მინიმალური გამარჯვებით —1:0. ახალგაზრდობამ აჩვენა სრულიად კვალიფიციური თამაში და დაადასტურა სსრ კავშირის ახალი ნაკრების დაბადების ფაქტი.

მცირე ხანს შემდეგ ჩვენი ახალი ნაკრები გაემგზავრება უცხოეთში და ამხანაგურ შეხვედრებს ჩაატარებს კოლუმბიის, ბრაზილიისა და არგენტინის წამყვან კლუბებთან. ამ ტურნეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და როგორც მე, გუნდის მწვრთნელს, ისე ჩემს კოლეგას — უფროს მწვრთნელს ვ. სოლოვიოვსაც გვეკისრება საპასუხისმგებლო სარბიელზე შევამოწმოთ ახალგაზრდა ფეხბურთელთა თამაშის კლასი. დასამალი არაა, რომ ახალი ნაკრების წინაშე დიდი პერსპექტივებია დასახული და შეიძლება სწორედ მან დაიცვას ჩვენი ქვეყნის პრესტიჟი როგორც ოლიმპიურ თამაშებზე ტოკიოში, ისე მსოფლიო ჩემპიონატზე ლონდონში.

ვინ ითამაშებს საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე? გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენენ კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები. ესენი: მეკარე ვ. ბანიკოვი, მცველი ვ. შჩეგოლკოვი, ნახევარმცველები ვ. ტურიანჩიკი, ი. საბო, ი. ვოინოვი, თავდამსხმელები ო. ბაზილევიჩი, ვ. სერებრიანიკოვი, ა. ბიბა, ვ. ლობანოვსკი, ვ. კანევსკი, ი. ბასალიკი. სამი მოთამაშე მისცა ნაკრებს მოსკოვის „სპარტაკმა“ — მცველები გ. ლოგოფეტი, ა. კრუტიკოვი და თავდამსხმელი ი. სევიდოვი. ასეთივე რაოდენობითაა წარმოდგენილი ნაკრებში ლენინგრადის „ზენიტი“ — მცველი ვ. დანილოვი, ნახევარმცველი ს. ზავიდონოვი და თავდამსხმელი ლ. ბურჩალკინი. თბილისის „დინამოდან“ ნაკრებში მოხვდნენ მეკარე ს. კოტრიკაძე და ნახევარმცველი შ. იამანიძე, ალმა-ატის „კაირატიდან“ — მეკარე ვ. ლისიცინი და თავდამსხმელი ს. კვოჩკინი, მოსკოვის „დინამოდან“ — მცველი გ. რიაბოვი, ხოლო ცსკ-დან — მცველი ა. შესტერნევი.

ამრიგად, ახალი ნაკრები შედგენილია „ა“ კლასის 7 კლუბის მოთამაშეებისაგან. ეს მდგომარეობა ართულებს მწვრთნელთა მუშაობას, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე. ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი ძირითადი შემადგენლობის დადგენისა და ცალკეული რგოლების შეთამაშებისათვის. ცნობილია, რომ გუნდის ძალას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად კარგადაა ერთმანეთში შეხამებული გამოცდილება და სიახალგაზრდავე, ამიტომ პერსპექტული ნაკრების შედგენისას ჩვენ მასში შევყავდა არა მარტო ახალგაზრდა ტალანტები, არამედ გამოცდილი მოთამაშეებიც, რომლებიც თავიანთი ფიზიკური კონდიციით არ ჩამორჩებიან ახალგაზრდებს. ასე, მაგალითად, ბანიკოვთან და ლისიცინთან ერთად გუნდში შეყვანილია ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად ცნობილი კოტრიკაძე, რომელიც უკვე შედიოდა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. დაცვაში თამაშობს გამოცდილი კრუტიკოვი, სსრ კავშირის ნაკრების მონაწილე ევროპის თასის გათამაშებაში და მან დიდი დახმარება უნდა გაუწიოს ისეთ ახალგაზრდა მცველებს, როგორებიც არიან ლოგოფეტი და შესტერნევი. ნახევარდაცვაში ორგანიზატორის როლი დაეკისრება საბჭოთა ფეხბურთის ვეტერანს ვოინოვს, რომელიც ჯერ კიდევ 1958 წელს თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში.

ყველაზე მეტ სიძნელეებთან გვექნება საქმე თავდასხმის ხაზის შედგენისას. აქ უკვე აქვს სათანადო გამოცდილება კანევსკის, მაგრამ იგი თავისი თამაშის მანერით არის შემსრულებელი და არა დირიჟორი. ამიტომ თავდასხმაში საჭიროა გამოინახოს მოთამაშე, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს დისპეტჩერის როლს. ფორვარდებს შორის არიან ისეთი ნიჭიერი და ტექნიკურად მომზადებული ფეხბურთელები, როგორიც ლობანოვსკი. მისი დრიბლინგი და მოულოდნელი ხვეული ბურთები მეტად სახიფათოა მოწინაალმდეგისათვის. დიდ იმედებს ვამყარებთ სევიდოვზე, რომელსაც კარგი პოზიციური ალღო და დასკვნითი დარტყმები აქვს. საკმაო გამოცდილება გააჩნიათ სერებრიანიკოვს, ბაზილევიჩს და სხვებს. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ ლობანოვსკის ვანდოთ ცენტრალური ფორვარდის პოსტი, ვინაიდან იგი ფართო დიაპაზონის ფეხბურთელია და უთამაშია კიდეც ამ პოსტზე, მაშინ მარცხენა გარემარბად ნაკრებში შეიძლება გამოყენებულ იქნას სრულიად ახალგაზრდა ბასალიკა. იგი შრომისმოყვარეა, კარგად ფლობს ბურთს და ხედავს პარტნიორებს.

გუნდის ტაქტიკაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ ორიენტაცია გვაქვს მოიერიშე, სწრაფ ფეხბურთზე. ვფიქრობ, სსრ კავშირის ახალი ნაკრების ტაქტიკურ სახეს გვიკარნახებს მომავალი ტურნე სამხრეთ ამერიკაში. ეს იქნება ჩვენთვის ექსპერიმენტებისა და კოლექტივის ჩამოყალიბების პერიოდი.

ე. ლიადინი,
სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი.

ტრადიციული კონკურსი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტული ჟურნალისტების გაერთიანებამ ჩაატარა ტრადიციული კონკურსი „ვინაა რესპუბლიკის უძლიერესი ფეხბურთელი“?

ხმების უმრავლესობით პირველი ადგილი დარჩა მცველ კარლ-ჰაინც შნელინგერს, რომლის თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა მსოფლიო ჩემპიონატებში (1958 და 1962 წლები). შნელინგერი გფრ-ს ჩემპიონ „კელნის“ მოთამაშეა. მეორე ადგილი დარჩა პოპულარულ ცენტრფორვარდ უვე ზეელერს, მესამე — ნაკრების ცენტრალურ მცველ ერჰარტს. ამ ფეხბურთელებმაც თავი გამოიჩინეს არა მარტო მსოფლიოს ჩემპიონატებში, არამედ სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებშიც.



სურათზე: რამონ კოპა (მარჯვნივ).

რამონ კოპას წიგნი

1961-62 წლების სეზონი დასასრულს უახლოვდებოდა. საფრანგეთის სპორტულ პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ თამაშს თავს ანებებდა რამონ კოპა — ფეხბურთელი № 1 მთელი ფრანგული ფეხბურთის ისტორიის მანძილზე. ვინც მაშინ კოპას თამაშს ესწრებოდა, მისთვის ეს ცნობა არ შეიძლებოდა მოულოდნელი ყოფილიყო — წინანდელი ვირტუოზის მაგივრად მოედანზე იყო ნახევრად ხეიბარი, რომელიც მარცხენა ფეხით კოჭლობდა. მაინც რა დაემართა ამ არც თუ მეტად ხნიერ ფეხბურთელს (კოპა დაიბადა 1931 წელს), რომელიც 1958 წელს შვეციაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში თანამედროვეობის უძლიერეს ცენტრფორვარდად აღიარეს და უაღრესად ზუსტი თამაშისათვის „ბატონი მილიმეტრი“ შეარქვეს?! პასუხის გაცემა ძნელი არაა. კოპამ იმდენი ტრავმა მიიღო, რომ მისი საკუთარი განცხადებით „უფრო მეტ ხანს ლაზარეთში ატარებდა, ვიდრე ფეხბურთის მოედანზე“.

და აი დაიწყო ახალი, **1962-63** წლების სეზონი. ფრანგი გულშემატკივრების სასიხარულოდ ცნობა არ გამართლდა— კოპა კვლავ თამაშობს და თანაც როგორ თამაშობს! ზოგი მიმომხილველი იმასაც კი წერს, რომ კოპა ახლა უკეთეს ფორმაშია, ვიდრე ოდესმე. ბელგრადის გაზეთ „ფუდბალის“ მიმომხილველი იოვიცა ველიჩკოვიჩი, რომელსაც საერთოდ უყვარს ფეხბურთელების შედარება პოლიტიკურ მოღვაწეებთან, დღევანდელ კოპას უწოდებს „ნაპოლეონს იენაში“ (ე. ი. დიდების ზენიტში). თვით კოპა, რომელიც მეტად სიტყვაძუნწი და თავმდაბალი ადამიანია, არ იზიარებს ასეთ აღფრთოვანებას. აი რას წერს კოპა: „ჩემი მარცხენა ფეხის ტრავმა განუკურნებელია და სისტემატურ ტკივილს მაყენებს. მაგრამ თამაშის სურვილი ისეთი ძლიერი მაქვს, რომ ტკივილს მაშინვე ვივიწყებ, როგორც კი მოედანზე გამოვდივარ...

... საფრანგეთის ნაკრებმა უკანასკნელ წლებში დიდი მარცხი განიცადა, ხოლო ბოლოს იქამდე მივედით, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც კი ვერ მოვხვდით. დიდი ზიანი მოგვაყენა ალჟირის ომმა. მრავალმა ახალგაზრდა ნიჭიერმა ალჟირელმა ფეხბურთელმა მიატოვა გუნდი და იძულებული გახდა ალჟირში წასულიყო. ჩვენს მარცხს სხვა მიზეზებიც ჰქონდა: საბოლოოდ გამოვიდა მწყობრიდან ისეთი გამოჩენილი ოსტატი, როგორიც ჟიუსტ ფონტენი იყო. ჩემი არ იყოს, როჟე პიანტონი უფრო ხშირად ავადმყოფობდა, ვიდრე თამაშობდა. ლუსიენ მიულერმა საერთოდ მიგვატოვა და მადრიდის „რეალში“ გადავიდა, ხოლო ნაკრების ყოფილი კაპიტანი როჟე მარში დაბერდა“.

ახლა კოპას მიაჩნია, რომ საფრანგეთის ნაკრები კვლავ აღმავლობის გზას დაადგა. კერძოდ, იგი ოპტიმისტურად უყურებს საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრები გუნდების მატჩს ევროპის თასზე, რომელიც 3 თებერვალს პარიზში გაიმართება. მიმომხილველები წერენ, რომ თვით კოპას თამამად შეუძლია უწოდოს თავის თავს „საფრანგეთის ნაკრები“, რადგან მთლიანად მასზეა დამოკიდებული ამ გუნდის წარმატება თუ წარუმატებლობა.

ამას წინათ პარიზში გამოვიდა კოპას მოგონებების წიგნი — „ჩემი შეხვედრები და ჩემი ცხოვრება“ — მიძღვნით: „ჩემს მასწავლებელ ალბერ ბატიოსა და საფრანგეთის ყველა სპორტსმენს“. წინასიტყვაობა დაწერა თვით ალბერ ბატიომ, სადაც მხცოვანი მწვრთნელი მკითხველებს მოუთხრობს, თუ როგორ „შექმნა“ მან კოპა. მოგონებების დასაწყისში კოპა წერს, თუ როგორ მუშაობდა იგი ბავშვობისას მაღაროში, სადაც ორი თითი დაკარგა, ლაპარაკობს თავის სპორტულ რეჟიმზე და თანამედროვეობის გამოჩენილ ფეხბურთელებზე. კოპა არასოდეს სვამდა ალკოჰოლიან სასმელებს და თავის „ცოდვად“ მხოლოდ იმას თვლის, რომ თამბაქოს წევს. კოპა დაწვრილებით ეხება მსოფლიოს 1954 და 1958 წლების ჩემპიონატებს, სადაც იგი თვით მონაწილეობდა.

ორჯერ გავიდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონების თასის გათამაშების ფინალში საფრანგეთის ყველაზე უფრო პოპულარული გუნდი, კოპას აღმზრდელი „რეიმსი“, ორჯერვე მას გზა გადაუღობა მადრიდის „რეალმა“. ერთხელ კოპა თავისი მეგობრების კოლონას, ჟონკეს, ვენსანისა და პიანტონის მხარდამხარ ებრძოდა ესპანელი მილიონერის სანტ-იაგო ბარნაბეუს მიერ დაქირავებულ „ლანდსკნეხტებს“ და მარცხი განიცადა. მეორედ იგი ბედის ირონიით თვით აღმოჩნდა „რეალის“ მიერ გადაბირებულ „ლანდსკნეხტების“ რიგებში საკუთარი გუნდის „სტად დე რეიმსის“ წინააღმდეგ. ახლა, როდესაც მადრიდის „რეალმა“ უკვე დატოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონების თასის გათამაშება, კოპა ისევ „სტად დე რეიმსის“ ღირსეული ლიდერია. მიმომხილველთა აზრით, „რეიმსს“ ამჟამად კარგი შესაძლებლობა აქვს გააკეთოს ის, რასაც წინათ ვერ მიაღწია — დაეუფლოს თასს. ამას გარდა, საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობა ევროპის თასის გათამაშებაში ეროვნულ ნაკრებებს შორის ძირითად იმედებს ისევ კოპაზე ამყარებს და თვლის, რომ იგი „მოუვლის ინგლისელებს“, თუმცა ინგლისელთა ახალ მწვრთნელს, „გენერლად“ წოდებულ ალფ რამსეის რომ კითხოთ, „3 თებერვლის მატჩში პარიზში ფრანგები ვერ იცნობენ თავიანთ მეტოქეებს!“ ვნახოთ!

გ. გამრეკელი

შეხვედრები მომავალ წელს

ვენაში გამოქვეყნდა ავსტრიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თამაშების მომავალი წლის კალენდარი. როგორც ყოველთვის, ავსტრიელები ორ ტრადიციულ შეხვედრას გამართავენ უნგრელებთან (ვენასა და ბუდაპეშტში). გარდა ამისა, ისინი გლაზგოში შეხვდებიან შოტლანდიელებს, თავის მოედანზე მიიღებენ საბჭოთა კავშირის ნაკრებს და ორ შეხვედრას გამართავენ იტალიელებთან (ვენასა და რომში).

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ამ შეხვედრების თარიღის დაზუსტების შესახებ.

გამოქვეყნდა უნგრეთის ეროვნული ნაკრების შეხვედრების გეგმაც. უნგრელები ეთამაშებიან უელსელებს (კარდიფში), შვედებს (სტოკჰოლმში), დანიელებს (ბუდაპეშტში), ჩეხოსლოვაკელებს (პრაღაში), საბჭოთა კავშირის ნაკრებს (მოსკოვში), იუგოსლაველებს (ბელგრადში) და ავსტრიელებს (ვენასა და ბუდაპეშტში).

ლიდერობენ
ცნობილი სნაიპერები

ევროპის ქვეყნების ფეხბურთელთა ჩემპიონატებში, დიდ ინტერესს იწვევს ბრძოლა „სნაიპერის“ ჯილდოსათვის. თუმცა ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ მაინც უკვე ახლა შეიძლება ზოგიერთი პრეტენდენტის დასახელება. ასე, მაგალითად, ინგლისის ჩემპიონატში ცნობილმა ბომბარდირმა ჯიმ გრივსმა („ტოტენჰემ ჰოტსპური“) უკვე გაიტანა 18 ბურთი. იტალიის ჩემპიონატში, რომელიც შედარებით უფრო გვიან დაიწყო, პასკუტიმ („ბოლონია“) გაიტანა 12 ბურთი.

რედაქტორი ი. უზულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04244